

ტესტის სახელწოდება

სისხლის წითელი უჯრედების რაოდენობა

ტესტის ალტერნატიული დასახელება

ერიტროციტების რაოდენობა

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

სისხლის წითელი უჯრედები, ანუ ერიტროციტები, შეიცავენ ჰემოგლობინს და ორგანიზმში ჟანგბადის ტრანსპორტირებას ახდენენ. ერიტროციტების წარმოქმნა ძვლის ტვინის მიერ ხდება. სისხლის წითელი უჯრედების პროდუქციას ასტიმულირებს ერიტროპოეტინი – ჰორმონი, რომელიც თირკმელებში წარმოიქმნება. ერიტროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 100-120 დღეა. მათმა რაოდენობამ შეიძლება იკლოს მაშინ, როდესაც არ ხდება სისხლის წითელი უჯრედების საკმარისი რაოდენობით წარმოქმნა ან როდესაც ხდება მათი გაძლიერებული კარგვა – სისხლდენის ან რაიმე სხვა ისეთი მდგომარეობის გამო, რომელიც მათ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს. მოცემული ტესტი სისხლის სინჯში ერიტროციტების რაოდენობას განსაზღვრავს. ეს ანალიზი, ჩვეულებრივ, სხვა ტესტებთან ერთად კეთდება და ინიშნება ერიტროციტებთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადების სკრინინგის, დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

სისხლის წითელი უჯრედების რაოდენობის განსაზღვრა სისხლის საერთო ანალიზში შედის და ხშირად ინიშნება ისეთ ანალიზებთან ერთად, როგორებიცაა მაგალითად, ჰემოგლობინის ანალიზი, ჰემატოკრიტი და ერიტროციტების საშუალო მოცულობა. იგი ხშირად რუტინულად ინიშნება ზოგადი სამედიცინო შემოწმებებისას და ასევე მაშინ, როდესაც პაციენტს აღენიშნება ანემიის, პოლიციტემიის ან ერიტროციტებთან დაკავშირებული რომელიმე სხვა დაავადების ნიშნები.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება. სისხლს იღებენ ვენიდან ან თითის წვერიდან.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

ერიტროციტების რაოდენობის დაქვეითება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორისაა:

- რკინის დეფიციტი ან B12-ის დეფიციტი
- სხვადასხვა ტიპის ანემია
- ქრონიკული ან მწვავე სისხლდენა
- თირკმელების ისეთი დაავადებები, რომლებიც ერიტროპოეტინის წარმოქმნას აფერხებენ

- ძვლის ტვინის დაავადებები, მაგალითად სხვადასხვა ტიპის სიმსივნე და კიბო, ან ძვლის ტვინის დაზიანება გამოწვეული ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა რადიაცია, ქიმიოთერაპია, ინფექცია.

ერთროციტების რაოდენობის მომატება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- პოლიციტემიით
- თამბაქოს მოხმარებით
- ფილტვების დაავადებებით
- გულის თანდაყოლილ დაავადებებით

ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე მცხოვრებ ადამიანებს ერთროციტების რაოდენობა შედარებით მომატებული აქვთ და ეს ნორმალურია.